

1955



ორგანო საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი  
Organe du Bureau à l'Étranger du parti Social-démocrate de Géorgie.

რვაენი

# ფრთვა

“ NOTRE DRAPEAU ”

Directeur: MICHEL STOUROUA.

N° 19

პარტიო

თქმეჭკალო

Paris.

1955

34 წელიწადი შესრულდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ.

მრავალი მაშინდელი წინასწარმეტყველება უნადაგო გამოდგა: თვეებით ანგარიშობდნენ საბჭოთა ხელისუფლების გამძლეობას: იგი კი მრავალი, რამდენჯერღვე ათეული, წელიწადია, რაც არსებობს. საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ხალხებმა გადაიტანეს ყოველგვარი გასაჭირი; მდგომარეობა იქნამდის მივიდა, რომ რუსეთში ადამიანი ადამიანის ხორცს სჭამდა (1921—1922 წ.წ.)—მოხდა ისტორიაში გაუგონარი ამბავი—და საბჭოთა ხელისუფლება მაინც უფრო და უფრო გაძლიერებული გამოვიდა ყოველგვარ განსაცდელიდან. დღეს მას მეორე თუ არა, მესამე ადგილი მაინც უჭირავს უდიდეს სახელმწიფოთა შორის ძლიერებით... სამხედრო ძლიერებით!

სხვა გვარი ძლიერება, გარდა სამხედრო და პოლიტიკური ძლიერებისა, მას არც სწამს. მუშტი ემუქრება იგი ცასა და დედა-მიწას, პატარა ერები დაიპყრო ძალით, დიდები კი უდიდეს საგონებელში ჩააყენა: სანამდის უნდა გაყვენ ისინი საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას შეიარაღებაში შეჯიბრებას?—იგი კი, საბჭოთა კავშირი, შეიარაღებას თავს არ ანებებს; ამიტომ სამხედრო ხარჯები მძიმე ლოდან აწევს ახლა ყველა ქვეყნების მოსახლეობას. მეცნიერთა ახალი გამოკვლევანიც ჯერ-ჯერობით ხომ უმთავრესად სამხედრო მიზნებისთვის არის გამოყენებული და მთელ კაცობრიობას განადგურებას უქადის... სხვა გამოსავალი არ სჩანს: მუშტს მუშტი უნდა დაუპირდაპირონ, სხვა არავითარი «საბუთი» არ სჭრის საბჭოთა ხელისუფლებაზე.

თავისუფალი კაცობრიობა რომ არ შეიარაღებულიყო, საბჭოთა ჯარები, დღეს აღმოსავლეთ ევროპაში დაბანაკებულინი, კი ხანია გადალახავდნენ დასავლეთ ევროპას და ხელში ჩაიგდებდნენ, სხვათა შორის, უდიდეს სამრეწველო ცენტრებს; მოაწყობდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ინდუსტრიას თავის სამხედრო საჭიროებისთვის და მაშინ ბრძოლაც ამერიკის გიგანტის, შეერთებულ შტატების წინააღმდეგ მათ გაუადვილებოდა. ამიტომ ბოლშევიკები ყველა ზომებს ხმარობენ, რომ დასავლეთის თავისუფალი ქვეყნები არ გაერთიანდნენ და გაერთიანებულ ძალით არ დაუპირდაპირდნენ სა-

30267



ბუკთა კავშირს. ამისთვის ისინი ხან გერმანიის შეიარაღების საშიშროებას, მთელი მსოფლიოსთვის, ხმარობენ საფრთხი-ბელათ და ხან ამერიკის შეერთებულ კვებმონიას მთელ ქვე-ყანაზე. მაგრამ არ ხერხდება, ჯერ-ჯერობით მინც ვერ მოა-ტყუეს. განათლებული კაცობრიობა და ვერ გააბეს თავის-უფალი ერები ხან აქ და ხან იქ დაგებულ მახეში.

ომის ყველას ეშინია, დასავლეთსაც და აღმოსავლეთსაც. ყველას ის უნდა, რათა თავიდან აიცილონ როგორმე ომი; ხოლო საბჭოები ცდილობენ სხვის ხარჯზე იომონ, სხვების ხელით მოკრიფონ ეკლნარში ვარდი. ამისთვის ორივე მხარე-ზე ალაპარაკდენ ახლა ორივე რეჟიმის თანაარსებობის და პარალელურათ განვითარების შესაძლებლობაზე; რა თქმა უნდა, სხვადასხვანაირ სურვილით და სხვადასხვანაირ განზრ-ხვებით.

ჩვენ, ქართველებს, კი გვაქვს საფუძველი იმის თქმის, რომ საბჭოებთან დადებულ შეთანხმებიდან, და ხელშეკრუ-ლებიდანაც, კარგი არაფერი გამოვა: «ანწლი არ მოგცემს ყურძენსა!» მაგრამ მშვიდობა ქვეყნათ ისეთი დიდი საქმეა, რომ ღირს იმისთვის ყოველთვის და ყოველგვარ საშვალების გამოყენება, თუნდაც ეს ბოლშევიკებთან მოლაპარაკებასაც შეეხებოდეს. ამის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ ახლა პრესა-ში, პოლიტიკურ წრეებში და დიპლომატებში. მართალია, ჩვენ ვცადეთ და ვიცით, თუ როგორ ასრულებენ საბჭოები პირობას; სხვებმაც სცადეს ეს, ვეროპაში, მაგრამ სურთ ერთ-ხელ კიდევ გაიმეორონ იგი.

ჩვენ ნუ შევუდგებით იმის წინასწარმეტყველებას, თუ რა მიმართულებით წავა ამ მოლაპარაკებების და შეხვედრე-ბის შემდეგ საერთაშორისო პოლიტიკა. ერთი კი ცხადია, იგი შეეხება უმთავრესად სოციალურ-ეკონომიურ სფეროში ზავის ჩამოგდებას ორივე რეჟიმის შორის, და არა იმ მეორე კვანძს დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობისას, რომე-ლსაც წარმოადგენს ეროვნული საკითხი და დაპყრობილ ერ-თა მდგომარეობა. არსებულ «რეჟიმის» თანაარსებობის შესა-ძლებლობის განხორციელებიდან, საბჭოები მოელიან «სუ-ლის მოთქმას» და არა მტკიენულ საკითხების მოწესრიგებას. ამიტომ შესაძლებელია, რომ საბჭოთა კავშირში მოქცეულ ერებმა კიდევ ერთხანს სულ ახალ გაპირებებს, განცდას და ახალ წამებას უნდა გაუძლონ!

მაგრამ ჩვენ ვიცით ისიც, რომ ერის თავისუფლება ისეთი განძია, რომლის მოსაპოებლათ თაობები თაობებს სცვლიან ყოველგან. ქართველ ერს არ სჩვევია სულმოკლეობა; საუკუ-ნეთა განმავლობაში მამაცურათ იბრძოდა იგი ეროვნულ თა-

ვისუფლებებისთვის; ვერც ასი წლის რუსეთის, თვითმპყრობელობის სახით, ბატონობამ ჩვენში გაუტეხა ქართველ ერს გული და ქართველები მუდამ განმათავისუფლებელ მოძრაობის პირველ რიგებში იდგენ. ვერ გაუტეხს მას გულს ვერც თითქოს უფრო ძლიერის, ვინემ ოდესმე ყოფილა რუსის მთავრობა, საბჭოთა ხელისუფლების 34 წლის ბატონობა ჩვენში.

ათეული წლები, გრძელი ვადა ცალკე ადამიანის ცხოვრებაში, წუთია ერის საუკუნოებრივ თავგადასავალში. საქირა მხოლოდ, რომ ერმა გამძლეობის უნარი გამოიჩინოს და იმ საშინელ გრივალში, მის თავზე რომ ტრიალებს ახლა, თავი შეინახოს ფიზიკურ განადგურებისაგან და მორალურათ გათანსირებიდან.

ჩვენმა ხალხმა კარგად იცის, რომ მტერი დაუნდობელია; ჩვენს ხალხს არ სჭირია გარედან ჭკუის სწავლება, დარბევა, თუ როგორ მოიქცეს იგი; და ტყვეობა მისი, დიდხანსაც რომ გაგრძელდეს, მას არ დაავიწყდება მისი წარსული, თუ როგორ შეინახოს გულში ღვთაებრივი ცეცხლი ეროვნულ თავისუფლების და მოქალაქის უფლებების სიყვარულისა.

### მალენკოვის გადადგომა.

საბჭოთა კავშირში ყოველგვარი პოლიტიკური აქტი სენსაციის ხასიათს იღებს. ასეთი ხასიათი მიიღო ახლა მალენკოვის გადადგომამ მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობიდან და მის მაგიერ მარშალ ბულგანინის დანიშვნამ.

თავისუფალ ქვეყნებში ეს სრულიად უყურადღებოთ ჩაივლიდა: გადადგა ერთი თავმჯდომარე და მისი ადგილი მეორემ დაიჭირა. და ეს მოხდა—თუ შეიძლება ასე ითქვას—პარლამენტარულ წესით; გარნა საბჭოთა კავშირში თვით ეს წესიც უცნაურ ამბავს წარმოადგენს, რადგან ხელისუფლების ძველი მატარებელი ამ შემთხვევაში თანამდებობასთან ერთად სიცოცხლესაც არ გამოსალმებია, როგორც ამას იქ ადგილი აქვს ხოლმე.

ამიტომ ბევრი ფიქრობს, რომ მალენკოვის გადადგომის დეკორაციის უკან დიდი მნიშვნელობის ამბები უნდა იმალებოდეს. რამ აიძულა, რომ იგი გადამდგარიყო? კითხულობენ უცხოეთში.

შეიძლება ეს ჩვენ ვერასოდეს გავიგოთ დანამდვილებით; ხოლო ჩვენთვის ხელმისაწვდომი გარემოებანი იმას მეტყველებენ, რომ ხრუშჩევმა, პარტიის მეთაურმა, გაიმარჯვა მალენკოვზე, მთავრობის ხელმძღვანელზე. ხელისუფლების გაორებას იქნება ამ გზით ბოლო ელებოდეს და საბჭოები ძველებურ წესს, პარტიის მთლიან დიქტატურისას, უბრუნდებო-

დენ? ასეთი იყო ხომ გზა სტალინის წინსვლისა პიროვნულ დიქტატურისკენ.

ან შეიძლება ამის მიზეზი ის იყოს, რომ მალენკოვის პოლიტიკა, მან რომ 1953 წლის აგვისტოში აუწყა ქვეყანას და რომელიც საჩქარო ამოცანათ აცხადებდა საკვებ საგნების მოსახლეობისთვის საკმარისათ მოწოდებას, შეიძლება ეს პოლიტიკა გაკოტრდა? მაგრამ ამ პოლიტიკის უმთავრესი ფაქტორი—კერძოდ სოფლის მეურნეობის განსაკუთრებულ მფარველობის—ხომ ხრუშჩევიც იყო. ამ ბოლო დროს კვლავ მძიმე მრეწველობა ხდება საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტურ პარტიის უმთავრეს ზრუნვის საგანი ან, როგორც ახლა თქმა უყვართ ხოლმე: ზარბაზნების დამზადება ამჯობინეს კარაქის დამზადებას!..

შეიძლება მომხდარი ცვლილებანი პარტიისა და ჯარის დაახლოებას ნიშნავს, მათი ღონისძიებათა გაერთიანებას საბჭოთა კავშირის გასამაგრებლათ?

ერთი სიტყვით, უცხოეთის პრესას ერთხელ კიდევ მიეცა საშვალეობა მკითხაობს: რა იქნება, რა მოყვება მალენკოვის გადადგომის სენსაციურ ამბავს?

ჩვენთვის საბჭოთა კავშირის სათავეში თავის ნებით თუ ძალდატანებით პიროვნებათა გამოცვლას თავისთავათ დიდი მნიშვნელობა არ აქვს: ერთნი მიდიან და მათ ადგილს მეორენი იჭერენ. ყველა ესენი ცოტათ თუ ბევრათ ერთი და იმავე ზომის პიროვნებანი არიან, ყველა ერთი დოქტრინით გაუღნთილი, დიქტატურის წყურვილით შეპყრობილი, მაგრამ ყოველგვარ თიღს შემოქმედებითი ნიჟს და გამჭირახობას მოკლებულნი...

ამ ამბებში საინტერესო სხვათა შორის, ის ძირითადი საკითხია, რომელიც დასავლეთ ევროპის ერთმა სოციალისტურ პარტიის ცნობილ ლიდერმა ასე დააყენა: როგორ შეუძლიათ გულწრფელ კომუნისტებს, რომ ენდონ იმ პარტიას, რომლის ბელადები მორიგეობით, და როგორც ინტერნაციონალურ, ისე ნაციონალურ ასპარეზზე, ხან თავის უძლურებას-უნიჭობას აღიარებენ და ხან მათ მიერ ჩადენილ ღალატს ინანიებენ?..

---

## მ ა რ თ ი წ ლ ი ს მ ა ნ ძ ი ლ ზ ე ი

გასული წელი გამუდმებულ თათბირებში დასრულდა. ახალი ომის შიშით შეშფოთებული კაცობრიობა ზავისა და მშვიდობიანობის ძებნაში ეძებდა და ხმარობდა ყოველგვარ საშუალებას ახალი კატასტროფის თავიდან ასაცდენათ, სულის მოსათქმელად, პოლიტიკურ და ეკონომიურ სტაბილიზაციის შესაქმნელად. ზავის მოქადაგეთ და მსურველად დღეს ყველა გამოდის,—ორივე ბლოკი დღეს დაპირისპირებული,

ცივ-ომში შებმული, ერთი მეორეს წინააღმდეგ დარაზმული. თავისუფალ ქვეყნების ცდაა კომუნისტური ექსპანსიის შეჩერება, ხოლო ამ უკანასკნელისთვის დროს მოგება, შინაურ ფრონტზე გამაგრება, მშვიდობიანი გზით, — ადგილობრივ ერთგულ ძალებზე დაყრდნობით საკუთარ გავლენის გაფართოება, საერთაშორისო თათბირების საპროპაგანდო ტრიბუნათ გამოყენება. იალტა, თეგერანი, პოტსდამი განა ამ მიზნებისთვის არ იქნა გამოყენებული?.. ამ ადგილებში მიღებული გადაწყვეტილებანი დღეს მოსკოვისგან ფეხ-ქვეშ გათელილია, რის შედეგია მის სფეროში მოქცეულ ერთა—სრული ოკუპაცია, აღმოსავლეთ ევროპის გასაბჭოება. ამ მიღწევებით გათამამებული მოლოტოვი წინ აღუდგა გერმანიისა და ავსტრიის საკითხის მოგვარებას ბერლინის თათბირზე და საკუთარი გეგმის წამოყენებით გამოაშკარავდა განზრახვა ევროპის გაერთიანების ჩასაშლელად და უმთავრესად ევროპიდან ამერიკის განსანდევნათ.

ევროპის გაერთიანების იდეა, — დღიდან ატლანტიკის ქარტიის შექმნისა, — მოსკოვს შიშს გვრიდა, ანერვიულებდა. რა დიპლომატიური დაწოლა არ მოიგონა მოსკოვმა, რა ხრიკებსა და მუქარას არ მიმართა მის გასაუქმებლად, მაგრამ ცდები ამაოდ დარჩა.

ამერიკისა და მის მოკავშირე დასავლეთ ევროპის ერთა გადაწყვეტილების შერყევა შეუძლებელი გახდა და პირიქით ატლანტიკის ხელშეკრულება უდიდეს ფაქტორათ იქცა, რეალური, პრაქტიკული სახე მიიღო, გაფართოვდა საბერძნეთ-ოსმალეთის შიგ შემოყვანით.

ბერლინში დამარცხებულმა მოსკოვმა ქუნევის თათბირის წინ ტაქტიკა შესცვალა, უკან დაიხია, ამერიკის თანამშრომლობა ევროპის საქმეების მოსაგვარებლათ დასაშვებლად ჩასთვალა და შემდეგ თვითონაც არა ერთჯერ სურვილი გამოაცხადა ატლანტიკის კავშირში შესასვლელად, რამაც ევროპის საზოგადოებრივი აზრის გაკვირვება და ირონიული შეხვედრა გამოიწვია.

ქუნევაში კი ერთჯერ კიდევ გამოჩნდა მოსკოვის იმპერიალისტური მადა, როცა ის არ დათახმდა კორეის ტრადიციას ბოლო მოღებოდა. თავისუფალ არჩევნების მოხდენით დატანჯულ და განაწამებ ერს საკუთარი ბედი თვით გადაწყვიტა. მოსკოვმა კარგად იცოდა, რომ ინდოჩინეთში დაზავება აუცილებელი იყო იქ შექმნილ სამხედრო ვითარების გამო და ამიტომაც დიდი პატივი და თხოვნა არ იყო საჭირო მის დასაჯერებლათ, კიდევ მეტი, მისი გავლენის სფერო სამხრეთ-აზიაში ფართოვდებოდა საზავო პირობების მიღებით. რასაკვირველია, თვით ინდოჩინეთის ხალხს არც კომუნისტური რეჟიმი სურდა და არც საკუთარ ქვეყნის ორად გაგლეჯა და ეროვნული სხეულის დაშლა. ეს სავსებით დამტკიცდა. ამის საუკეთესო მაჩვენებელია კომუნისტურ ნაწი-

ლიდან ლტოლვილთა დენა. მძიმე ტრალედია—დღეს მთელი კაცობრიობის წინაშე გადმოიშალა; როცა ასი ათასობით მცხოვრებნი ურიგდებიან უბინაობას, სიმშვილ-წყურვილს და კომუნისტურ სამფლობელოდან გარბიან...

საბჭოთა იმპერიის გაძლიერება აზიის ზოგიერთ კუთხეში დღეს ფაქტია, ამის დამალვა თავის მოტყუილება იქნებოდა. იგი უამრავ ხარჯებს ეწევა ჩინეთის შესაიარაღებლად. მისი ვებერთელა ტერიტორია დღეს მოფენილია რუს ტენიკოსებით. ინდოჩინეთში კი მოსკოვ-პეკინის შეჭრა და სტრატეგიულ პუნქტების დაკავება დახმარების ნდობას უკარგავს დანარჩენ სამხრეთ-აზიის ქვეყნებს, შეაქვს რყევა თავდაცვის საქმეში. და ერთგვარი პერსპექტივა ებადება მოსკოვის სამხრეთ-აზიის ქვეყნებს ნეიტრალიზაცია მოუხდინოს, გადავიდეს შუა-აღმოსავლეთში და შეასუსტოს ამერიკის თაოსნობით დადებული პაკისტან-ოსმალეთის პაქტის გავლენა. ამ საშიშროებამ წარმოშვა ამერიკის პოლიტიკური აქტივობა აზიის ქვეყნებში, რომლის პირველი შედეგი იყო მანილში მომხდარი ყრილობა, სადაც თავი მოიყარეს გუშინდელ ყოფილ კოლონიალურ ერებმა, დღეს თავისუფლებმა და მათთან ერთად გუშინდელ მპყრობელთა ბანაკმა, ამას მოჰყვა კოლომბოს კონფერენცია. ორთავეზე დადებითი მუშაობა ჩატარდა და მონაწილეთა შორის დაიდვა ხელშეკრულება, აზიის ერთა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად, ურთერთ ეკონომიურად დასახმარებლად. თვით ამერიკა დღეს იმუშავებს მარშალის ახალ გეგმას აზიის ქვეყნების ეკონომიურად ფეხზე დასაყენებლად. როგორც ვიცით თუ მარშალის გეგმა არა,—ევროპა დაღუპვის კარებზე იყო მიმდგარი. მაშასადამე ასეთი დაგეგმილი დახმარების აღმოჩენა აზიის ღარიბ და ნივთიერთ გალატაკებულ ერების მიმართ,—ნიდადგს გამოაცლის კომუნისტურ დემაგოგიას, გასჭედავს ამ ერთა თავდაცვითი უნარს.

ინდოჩინეთის და კორეის ოპერაციების შემდეგ მოსკოვის პოლიტიკური სტრატეგიის ისარი ისევ ევროპისკენ იქნა მობრუნებული და შემოტევა სწარმოებდა უმთავრესად პარიზის პაქტის წინააღმდეგ. საფრანგეთის პარლამენტის მიერ პირველი ხელშეკრულების უარყოფამ მოსკოვის სიხარულის ფრთები შეასხა, ევროპის გაერთიანება გერმანიის შიგ შემოყვანით ჩაშლილად წარმოიდგინა. მოსკოვის სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის წინდახედული და გონივრული ნაბიჯების შემდეგ დაიდვა ლონდონ-პარიზის ახალი ხელშეკრულება უფრო სრულყოფილი, გაძლიერებული, რადგან ინგლისი, რომლის გარანტია აკლდა პირველ პარიზის პაქტს, ეხლა განდა აქტიური წევრი ევროპის გაერთიანების, ხოლო ამ მიღწევას ამერიკა შეხვედა უდიდესი კმაყოფილებით და თავისი მონაწილობა ევროპის თავდაცვის საქმეში ურყევად აღიარა. გასული წლის

ოქტომბერი უდიდეს ისტორიულ თვეთ ჩაითვლება. დაიწყო საფრანგეთ-გერმანიის შორის კეთილ-მეზობლური განწყობილება, რომლის გარეშე ევროპის მთლიანობა მისი სიძლიერის შექმნა და საბჭოთა ექსპანსიის შეჩერება შეუძლებელია. ლონდონ-პარიზის ახალი პაქტის მიღებისთანავე კვლავ ამუშავდა მოსკოვის დიპლომატიური აპარატი, მისი რატიფიკაციის ხელის შესაშლელად. ნოტები, მუქარა კვირეულად მოდიოდა მოსკოვიდან. მან წინადადებით მიმართა მთავრობებს ფართე კონფერენციის მოსაწვევით გერმანიისა და სხვა ევროპის საკითხების მოსაგვარებლად. მან მტკიცე უარი მიიღო. მოსკოვთან ლაპარაკი შეიძლება ლონდონის ხელშეკრულების ხელის მომწერთა მიერ—რატიფიკაციის შემდეგ—იყო ყველასგან ერთი და იგივე პასუხი. გარდა ამისა, მოსკოვმა უნდა საქმით დაამტკიცოს თავისი სურვილი მშვიდობიანობის დასამყარებლად.

ლონდონის ხელშეკრულების რატიფიკაცია დღეს შესრულებული აქტია, ამით თავისუფალ ქვეყნების ფორმტი ირანშეება და თუ თათბირი მოხდა მოსკოვთან ერთი პირით, ერთი პროგრამით ხდება გამოსვლა, მოსკოვის სურვილს თათბირზე მოკავშირეთა შორის შუღლის ჩამოსაგდებათ ნიადაგი ეცლება და აკი საბჭოთა პრესა ასეთი ვითარებით უკმაყოფილო განგაშს სტეხს, რომ რატიფიკაციის და გერმანიის ევროპის კავშირში შემოყვანის შემდეგ თათბირს აზრი ეკარგება...

ასე და ამგვარად ატლანტიკის ქარტია და ევროპის გაერთიანება აი კედლები რომელნიც აღიმართენ კომუნისტურ ექსპანსიის შესაჩერებლად და თავისუფალ ქვეყნების ცივილიზაციის გადარჩენათ...

ამ დადებითი მიღწევას და თავდაცვას თან დასდევს უდიდესი სატივიზარი და ჩვენი დიდი პოეტის თქმის არ იყოს: «რა არის იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია»... ეს სიბნელე და ბურუსია ე. წ. თანაარსებობის დროშის აფრიალება მოსკოვის მიერ. როცა მას რაიმე გასაჭირი ან მარცხი მოსდის. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ თანაარსებობის ილიუზიას შეცდომაში შეჰყავს, არა მარტო საზოგადოებრივი აზრი, ბევრჯერ დიდი სახელმწიფო მოღვაწენი...

აი რას ამბობს ნ. ჟორდანია ორი სისტემის თანაარსებობის შესახებ: «რასაკვირელია ორნაირი წყობილების ერთად არსებობა შესაძლებელია, მხოლოდ ერთი პირობით: მათ შორის უნდა იყვეს რაიმე საერთო წყობა: ან ეკონომიური, ან პოლიტიკური, ან ნაციონალური, ან სულიერი, ან მორალური. არც ერთი ეს ხაზი რუსეთს და დასავლეთს შორის საერთო დღეს არ არის. ის დგას განკერძოებულად და იარაღით ხელში ემუქრება ქვეყნიერებას».

ეს შეფასება ძალაში რჩება, ხოლო როგორც ვსთქვით მოსკოვი გასაჭირის დროს აძლიერებს პროპაგანდას ამ თანა-



არსებობის შესაძლებლობაზე. მაგ., სტალინის სიკვდილის შემდეგ სათვალმაცხო რეფორმათა გატარებით და ზოგიერთ წესების შერბილებით მას სურს დაანახევოს ქვეყნიერებას სურვილები კეთილგანწყობილების და მშვიდობიანობის ჩამოსაგდებათ. შეუძლებელი სრულებით არაა, რომ მოსკოვი ცდილობდეს ამ თანაარსებობის გახანგრძლივებას. ან რას ავებს?.. დროთა სვლაში ის ცდილობს შეანელოს თავისუფალი ერთა პოლიტიკული სიფხიზლე, გამოიყენოს პოლიტიკურ-სოციალური კრიზისები თვითვე ერში და ადგილობრივ ერთგულ ძალებზე დაყრდნობით მოამწიფოს ნიადაგი თავის გავლენის გასაფართოებლად.

ადამიანური მიდგომით გასაგებია, რომ საზოგადოებრივი აზრი ეპოტინება ყოველგვარ საშუალებას ოღონდ მომავალი კატასტროფა თავიდან აიცილოს, ამიტომაც არის ევროპის ზოგიერთ ინტელექტიურ სფეროებში თანაარსებობის იდეა იბერება და ხშირად ილიუზია და სურვილი რეალობად იხატება. ამით, მხოლოდ მოსკოვის წისქვილზე წყლის ცემა მატულობს,—მის ხანგრძლივ საბრუნავად.

გასული წლის მანძილზე თუ პოლიტიკურ სიფხიზლის შედეგი გახდა თავისუფალ ერთა გაერთიანება, მას თან დაჰყვა ნაწილობრივ საზოგადოებრივ აზრის ილიუზია—მოსკოვის მორჯულების. ამ უკანასკნელისგან განკუთრება და რეალური სახის დანახვა, თავდაცვის და თავისუფლების გადარჩენის საქმეს მხოლოდ განამტკიცებს და მოსკოვის ექსპანსიის გაძლიერებას შეაჩერებს...

ნ. ხარჯველაძე.

### ჩვენი ძველის განსაზიკი.

მთელი მსოფლიო ღრმა პოლიტიკურ და სოციალურ რყევა-ღუღილშია. არ არის დედამიწაზე არც ერთი კუთხე, რომ მასზე მცხოვრებნი დიდი და პატარა ერები პირდაპირ თუ არაპირდაპირ არ იყვნენ ჩაბმულნი და ჩათრეულნი ამ ისტორიულ ჩარხის ტრიალში.

ქვეყანა, გაყოფილი ორ მოქიშპე ბანაკათ, ომისთვის შეუჩერებელ მზადებაშია. მათმა სამხედრო დარაზმულობამ და შეიარაღებამ გიგანტური ხასიათი მიიღო. დღევანდელმა განვითარებულმა მეცნიერებამ და ტექნიკამ საშუალება მისცა ადამიანს ერთი ყუმბარით მილიონ მცხოვრებიანი ქალაქი მიწასთან გაასწოროს და ნაცრათ აქციოს.

მოსალოდნელმა ომმა კაცობრიობა წარმოუდგენელ საშინელების და კატასტროფის წინაშე დააყენა. სახელმწიფოთა მართველნი და მოღვაწენი, მეცნიერნი და ყველა კეთილათმოაზროვნე ადამიანი ამ გარემოებამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, დააფიქრა და შეაშინა.

ამა წლის იანვარს ლონდონში მოწვეულ კომონველესში

შემაჯალ სახელმწიფოთა კონფერენციაზე ინგლისის მთავრობის თავმჯდომარემ ის აზრი გამოსთქვა რომ, თუ ომი მოხდა, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე დიდი საშიშროება გიდროკენის ყუმბარისაგან ბრიტანეთს მოელისო.

ინგლისში 50 მილიონი მცხოვრები ითვლება, ერი ყოველ მხრივ ძრიელი, ამერიკის შემდეგ საქვეყნო პოლიტიკის საქე რომ ხელთ უპყრია, ანტიკომუნისტურ თავისუფალ ქვეყნებთან შეკავშირებული, რუსეთის საზღვრებიდან 1.200 კილომეტრის მანძილზე ზღვით და ხმელეთით დაშორებული; ის თუ ასე სწუხს, მიშობს და ფიქრობს თავის ქვეყნის მოსალოდნელ უბედურობაზე, რაღა უნდა წარმოიდგინოს და სთქვას ჩვენმა ქვეყანამ? საქართველო ხომ ტყვეთ არის მტრის ხელში; ხელ-ფეხ შეკრული, ენაზე კლიტე დადებული, თავის ბედზე ზრუნვის და თავისუფალ მოქმედების საშუალებას მოკლებული, დემოკრატიულ ქვეყნებიდან დიდი შორი მანძილით დაშორებული, საომარ რკალში მომწყვდეული, ვისი მიწა-წყალიც მომავალ ომის ასპარეზათ უკვე დღესვეა გამზადებული.

ორი მხრიდან იკვანძება ჩვენი ერის ტრადიკული მდგომარეობა: შიგნიდან, კრემლის დესპოტიის შურის მძიებელი, დაუნდობელი, დაუზოგველი, სხვა ერთა გამწირავი პოლიტიკით; გარედან, იმავე კრემლის იმპერიალისტური ლტოლვით გამოწყვეული მოსალოდნელი ომით.

არავინ იცის ვის რას უმზადებს ხვალინდელი დღე. ქვეყნიერების აღრევა და მისი აბოზოქრებული ტალღები ვის ჩაითრევს თავის მორევიში, ვის შებერტყავს და დაასუსტებს, ვის ბედი გაუღიმებს და გვერდით აუვლის. ამ ისტორიულ ქარიშხალის წინაშე სდგას ჩვენი ერიც, რომლის ფიზიკურ არსებობასაც იგი ემუქრება.

რუსეთის უღლიდან ჩვენი ხალხის განთავისუფლების მისწრაფებას გვერდით გაუჩნდა ერის არსებობის—მისი ფიზიკური გადარჩენის საქმე, ურომლისოთაც, არსებულ პირობებში, ფუჭია ფიქრი მარტო თავისუფლებაზე. ყრის სიციცხლე, თავის მიწა-წყალზე ცნობება, თავისუფალი დამოუკიდებელი არსებობა, ყველა ეს ერთად არის ჩვენი სადღეისო საზრუნავი, ჩვენი ეროვნული პოლიტიკის ძირითადი ძარღვი. განსაკუთრებით მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებით ხასიათს აძლევს ჩვენს პოლიტიკას, რომელიც გვაველენს ყოველგვარი ჩვენი დიდი და პატარა საქმიანობა საქუთარ ჩვენ ნაციონალურ პოლიტიკას შეუფარდოთ.

გავვიგონია, რომ ერთსა და იმავე პირობებში მყოფი ის გამოადის ყოველგვარ უბედურობიდან ნაკლებათ დაზარალებული და გამარჯვებული. ვინც გაჭირებაში სასოწარკვეთილებას არ მიეცემა, არასოდეს იმედს არ კარგავს, გრძობებს და გულის თქმას არ ასდევს; ღრმა რწმენით და შეგნებით ეძებს მის სავალ გზაზე ყველა დამაბრკოლებელ მიზეზებთა გადასალახავათ შესაფერ საშუალებას და გამოსავალს.

წარსულში არა ერთხელ გამოიჩინა ჩვენმა ხალხმა ასეთი თვისებანი; უკანასკნელ დიდი ომის დროსაც ვგეგვ მაგალითი მოგვცა, როცა მან თავის შეგნებით და შორს მჭვრეტელობით გვერდი აუარა ყოველგვარ ავანტიურას, რითაც მტერს არ მისცა მიზეზი და საბაზი მასზე შური ეძია.

ერთია, ჩვენი ხალხი თუ თავის თავდაპირილობით და შეგნებული მოქმედებით ეცდება თავიდან აიცილოს ხიფათი და ფათერაკი შიგნიდან, ისევე არ ითქმის მის სფეროს გარეშე მოვლენათა დამოკიდებულობაზე, რადგან მას არა აქვს არავითარი საშუალება რაიმე გავლენა მოახდინოს მოსალოდნელ ომის პროცესთან დაკავშირებულ მისთვის სახიანო მოვლენაზე, გარდა ერთად ერთის, რომ ქართველი ერთ არის მთლიანი, გაუტეხავი, ერთი სულით და ერთი შეურყეველი გადაწყვეტილებით აღჭურვილი; მუდამ და ყოველთვის თავის დაკარგული დამოუკიდებელი, თავისუფალი ცხოვრების და ხალხის უფლების მოტრფიალე; ერთა შორის სოლიდარობის და მეგობრობის დროშის და საკაცობრიო იდეალების მატარებელი, რითაც მას უნდა, კრემლის ტირანიის დაცემის შემდეგ, წარსდგეს ყველა თავის მეზობელ ერების და კაცობრიობის წინაშე.

ომი არავის არ უნდა, მაგრამ არავითარი საბუთი არ არსებობს, რომ იგი არ მოხდებოდა. დღეს დაატყდება ეს უბედურობა კაცობრიობას, თუ ხვალ, ამის კალენდარი არავის არა აქვს.

აქედან გამომდინარეობს მხოლოდ ერთად ერთი დასკვნა: მთელი ჩვენი ფიქრი, აზრი და ყოველგვარი საქმიანი შესაძლებლობა იქით უნდა იქნეს წარმართული, რომ მოსალოდნელი ომისაგან წარმოსადგენი ვასაპირი ქართველმა ხალხმა, რაც შეიძლება, ნაკლები მსხვერპლით, ნაკლები ზარალით და ნაკლები ტკივილებით გადაიტანოს, ხალხი არ გაისრისოს, ქვეყანა არ ავგიოხრდეს!

ნოე ჟორდანიას რჩევა: «სიფხიზლე და სიფთხილე» მუდამ უნდა გვახსოვდეს.

გ. კობაქე.

### ვ ი თ ა რ ე ბ ა ა ზ ი ა შ ი.

დღიდან მეორე მსოფლიო ომის გათავებისა, აზია გაზდა კომუნისტური აგრესიის უმთავრეს არენათ. აგრესია დაიწყო ჯერ კიდევ 1945 წ. მანჯურიაში და იქიდან თანდათან მოედო მთელ ჩინეთს, გარდა ფორმოზისა. ამას მოჰყვა სამოქალაქო ომი ვიეტნამში, ბირმაში და მალაიაში. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი ამბავი დატრიალდა კორეაში 1950 წელს, სადაც 16 სახელმწიფო (ონიუს წევრები) ნამდვილ ომში იქნა ჩათრეული.

1953 წელს, ონიუმ, გატაცებულმა «მშვიდობიანი თანა-

არსებობის» იდეით, ჩამოაგდო კორეაში დროებითი ზავი, რომელიც უნდა დამთავრებულიყო საბოლოო ზავით ომში მონაწილეთა საერთო კონფერენციაზე, როგორც ეს იყო გათვალისწინებული დროებითი ზავის პირობებით. მაგრამ კომუნისტებმა პირობა დაარღვიეს და კონფერენცია აღარ შესდგა. უნდა განახლებულიყო ის ქენევის თათბირზე, კომუნისტებმა აქაც ჩაშალეს ის. ამ რიგად, კორეაში დამყარდა უცნაური მდგომარეობა: არც ზავი. არც ომი.

1954 წელს შეწყდა ომი ვიეტნამში. ზავის პირობებით ნახევარზე მეტი ამ უმდიდრესი ქვეყნისა გადავიდა ხო-ში-მინის ხელში, რომელიც ერთადად წითელი ჩინეთის კონტროლს ქვეშ იმყოფება. 1956 წ. აქ უნდა მოხდეს საერთო არჩევნები და მან უნდა გადასწყვიტოს თუ ვის ჩაბარდება ეს ქვეყანა მთლიანად—კომუნისტებს თუ არა-კომუნისტ ბაო-დაის მთავრობას, თუ, რასაკვირველია, მანამდე მას შერჩა ძალაუფლება.

ყველაზე მეტად კი მდგომარეობა ამ უამად გართულებულია ფორმოზასა და წითელ ჩინეთს შორის. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამერიკამ ფორმოზასთან თავდაცვის ხელშეკრულება დასდო.

ფორმოზა მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პლაცდარშია ამერიკისათვის. ის იცავს და იფარავს ფილიპინებს, რომელთანაც ამერიკა დაკავშირებულია როგორც სამხედრო, ისე ეკონომიური ხელშეკრულებებით. დიდად მნიშვნელოვანია ის აგრეთვე სამხრეთ კორეის და იაპონიის საზღვაო გზების უზრუნველსაყოფათაც. ამიტომ ამერიკა მას, რასაკვირველია, ადვილათ არ დასთმობს.

ფორმოზა საკმაოდ დიდი კუნძულია. მისი ტერიტორია სივრცით უფრო დიდია, ვინემ ბელგია თუ პოლანდია. მცხოვრებთა რიცხვი მეტია, ვინემ საბერძნეთში თუ პორტუგალიაში—რვანახევარ მილიონზე მეტი. სახელმწიფო სავსებით მოწყობილია—პარლამენტი, კანონიერი მთავრობა და სამხედრო ძალა თანამედროვე სამხედრო ტექნიკური ცოდნით გაწვრთნილი და შეიარაღებული. მისი ჯარების რაოდენობა ბევრად სუარბობს აზიის ყველა სახელმწიფოების ჯარებს, გარდა წითელი ჩინეთისა.

ფორმოზის საკითხის გართულებაში დიდ როლს თამაშობს ინგლისი. როგორც ვიცით, 1943 წელს, რუზველტსა, ჩერჩილსა და სტალინს შორის მოხდა შეთანხმება, რომლის ძალით ფორმოზა აღიარებულ იქნა ჩინეთის განუყოფელ ნაწილად (წინეთ იგი ეჭირა იაპონიას). ახლა, როცა ინგლისმა ჩინეთის კომუნისტური მთავრობა იცნო, მას მოსთხოვეს, თანახმად შეთანხმებისა, ფორმოზის დაბრუნება. ინგლისი იძულებულია ან გააუქმოს თავის ცნობა, ან მხარი დაუჭიროს ფორმოზას დაბრუნებას, რაც არც ისე ადვილია ამერიკის მტკიცე პოზიციის გამო ამ საკითხში, ანდა გამოჩანოს ისეთი გზა, რომელიც მას საშვალებას მისცემს არც მწუადი დასწვას

და არც შამფური. ასეთი რამ მან ერთხელ უკვე გამოხატა ონიუში, სადაც ზის ჩანკაიშვილის სრულფელებიანი წარმომადგენელი, მაგრამ ინგლისი სულაც არ ითხოვს მის იქიდან გაძევებას. პირიქით, ხშირათ ეწინააღმდეგება კიდევ სხვების ასეთ მოთხოვნას. აქედან წარმოიშვა იდეა ფორმოზის დამოუკიდებელ სახელმწიფოთ ცნობისა და ადვილათ შესაძლებელია სწორეთ ამ საფუძველზე მოხდეს ამერიკა-ინგლისის მოთანხმება ფორმოზის საკითხში.

ამ რიგად, გასულმა წელმა უანდერძა ახალ წელს ორი ჩინეთი, ორი კორეა, ორი ვიეტნამი, ორი გერმანია. ასე რომ, თუ გასული წელი «მშვიდობიანი თანაარსებობის» ნიშნის ქვეშ დასრულდა, ახალი წელი დაიწყო «შეიარაღებული თანაარსებობის» დროშის ქვეშ. და აღსანიშნავია რომ ლაპარაკი ასეთ თანაარსებობაზე სწარმოებს არა დაპირისპირებულ მხარეთა შორის, არამედ კომუნისტებსა და ე. წ. «ნეიტრალისტებს» შორის!

ვინ არიან ეს «ნეიტრალისტები» და რა სურთ მათ?

ამა წლის, აპრილში, ინდონეზიაში, უნდა შესდგეს აზი-აფრიკის «დამოუკიდებელ სახელმწიფოთა» კონფერენცია. იდეია კონფერენციის მოწვევისა ეკუთვნის ინდოეთის, ინდონეზიის, პაკისტანის, ბირმისა და ცეილონის მთავრობებს. კონფერენციაში მონაწილეობისათვის მოწვეულია 25 სახელმწიფო. ყველა აზიიდგან და აფრიკიდან. კონფერენციის მიზანია, როგორც ინიციატორები აცხადებენ, მეგობრული ურთიერთობის და თანამშრომლობის დამყარება აზიისა და აფრიკის ქვეყნებთა შორის, განხილვა აზიის და აფრიკის ხალხების სპეციალური საკითხების—მაგ. ნაციონალური სუვერენიტეტი, რასიზმი და კოლონიალიზმი, გამორკვევა აზიის და აფრიკის ხალხების პოზიციის დღევანდელ ისტორიულ ხანაში და თანამშრომლობა საერთაშორისო მშვიდობიანობის დაცვა-დამყარებაში.

პროგრამა დიდი და მეტად საინტერესოა, მაგრამ შემადგენლობა კი მეტად ჭრელი. ინიციატორთა შორის სამი—ინდოეთი, პაკისტანი და ცეილონი, არის წევრი ბრიტანეთის კომმონველტის. ამავე დროს არაა მოწვეული ამავე კომმონველტის ისეთი წევრები, როგორიცაა ავსტრალია და ახალი ზელანდია, თუმცა ეს ქვეყნები არა ნაკლებ წყნარ ოკეანეს სახელმწიფოებთა ითვლებიან, ვინემ მოწვეული იაპონია და ფილიპინები. არაა მოწვეული არც სამხრეთი კორეა, არც ფორმოზა, თუმცა მოწვეულია წითელი ჩინეთი. თვით პაკისტანი, გარდა იმისა, რომ წევრია კომმონველტის, მეგობრულ ხელშეკრულებაშია ამერიკასთან, სამხედრო კავშირში ოსმალეთთან და შედის ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის თავდაცვის კავშირში.

კიდევ უფრო შერჩეული და ტენდენციოზურია აფრიკის სახელმწიფოების მოწვევა. აქედან მოწვეული ქვეყნების თი-

თქმის ორი მესამედი ჯერ კიდევ ინგლისის გუბერნატორების მართველობის ქვეშ არიან. ერთი ნაწილი მის პროტექტორატს ქვეშ, ხოლო ე. წ. «ოქროს ნაპირები» პირწმინდათ ინგლისის კოლონიათ ითვლება.

მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მაინც წითელი ჩინეთის მოწვევაა. წითელი ჩინეთი ამ ბოლო დროს არ აკლებს ცდას შექნას აზიის ქვეყნების საერთო ფრონტი. ყველა ამ ქვეყნების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს ის წარამარა იმეორებს: «ერთიანი ფრონტი», «აზიის ქვეყნების საერთო ინტერესები» და სხ. ინდოეთისა და ჩინეთის კავშირი — უმტკიცეს ის ნერუს —, აზიის ამ ორი უდიდესი და უძლიერესი ქვეყნების, ადვილად შესძლებს აიცილოს ყოველგვარი ჩამორევა გარედან აზიის საქმეებში და სხ.

კონფერენციის ინიციატორები დიდათ თანაუგრძობენ ასეთი ფრონტის შექმნას, მაგრამ იმავე დროს ძალიან აფიქრებთ ჩინეთის სიწითლე. ინდოეთშიაში ხომ კომუნისტებმა არა ერთხელ მოაწყვეს აჯანყება ომის შემდეგ. თვით ნერუს სამფლობელოში ყველაზე მეტად მისი მოწინააღმდეგე ხომ კომუნისტები არიან. ბირმაში კი დღესაც გრძელდება სამოქალაქო ომი კომუნისტებსა და მთავრობის ჯარებთა შორის. არა უკეთესი მდგომარეობაა ბევრ სხვა კონფერენციაზე მოწვეულ ქვეყნებში. ყოველივე ამით დაშინებული ეს ქვეყნები ეძებენ შესაძლებლობას გადაირჩინონ თავი კომუნისტების პირდაპირი თავდასხმისაგან და ამის ერთადერთ საშვალეობათ სთვლიან «აზია-აფრიკის ნეიტრალობას!» აქედან წარმოიშვა იდეა «ნეიტრალობის», მაგრამ კომუნისტების მიზანს ხომ ნეიტრალობა არ შეადგენს. პირიქით. ყველა ამ ქვეყნებში ისინი ელტივიან ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და კიდევაც მუშაობენ ამისთვის. ყველა ამავების გამო არაა გასაკვირი რომ კონფერენცია გადაიქცეს კომუნისტების და მათი ამყოლების სათარეშოთ!

ამიტომაა რომ, როგორც ეს კონფერენცია, ისე საერთოდ აზიის დღევანდელი აღრევა მეტად აფიქრებს თავისუფალი ქვეყნების პასუხისმგებელ პირებს და ისინი ყოველივე საშვალეობით ცდილობენ ააშორონ კაცობრიობას საბედისწერი კატასტროფა...

გ. ურატამე.

### კ. კანდელაკის მოხსენება:

«საერთაშორისო მდგომარეობა და ჩვენი მოქმედების ხაზი».

საქართველოს სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროს სხდომაზე, ამ წლის 9 და 23 იანვარს, ამხ. კ. კანდელაკმა მოხსენება გააკეთა შემდეგ თემაზე: «საერთაშორისო მდგომარეობა და ჩვენი მოქმედების ხაზი». ბიუროს სხდომას დაესწრენ აგრედვე პარიზის ორგანიზაციის კომიტეტი, ერო-

ვნულ საბჭოს ჩვენი ფრაქციის წევრები და ზოგი ბიუროს მიერ მოწვეული პარტიის წევრები. ჩვენ მოგვყავს მოხსენების მოკლე შინაარსი.

კ. კანდელაკმა მოხსენება იქიდან დაიწყო, რომ ჩვენ არ უნდა გავყვეთ პოლიტიკურ წინასწარმეტყველებას, რადგან ასეთი წინასწარმეტყველება უფრო სწორად არ მართლდება ხალხზე; წარსულის მაგალითების მოგონებით ჩვენ უფრო გავერკვევით ახლანდელ მდგომარეობაში და უფრო ნათლად წარმოვიდგენთ მომავალ პერსპექტივებსაცო.

საერთაშორისო ყურადღების უმთავრეს საგანს დიდი ხანია წარმოადგენს საბჭოთა კავშირი და მასთან გარეშე ქვეყნების დამოკიდებულება; ჩვენთვისაც ეს არის ძირითადი საკითხი. თავისუფალ ქვეყნებში, როგორც ბოლშევიზმის დასაწყისში, ისე ახლაც, არსებობს აზრი, რომ შეიძლება ბოლშევიკებთან სადავო საკითხებზე შეთანხმება. და რადგან ომის ემინია, როგორც «აღმოსავლეთს», ისე «დასავლეთს», ამისთვის ორივე მხარეზე ბევრს ლაპარაკობენ ორივე რეჟიმის—კაპიტალისტურის და კომუნისტურის—თანაარსებობის და პარალელურათ მშვიდობიანათ განვითარების შესახებ. ამ მოსაზრებით გატაცებულნი, თავისუფალი დემოკრატიული ქვეყნები ხანდახან ხელსაც უწყობდენ და უწყობენ, არა პირდაპირ, საბჭოთა რეჟიმის გამაგრებას. საბჭოთა ხელისუფლება კი, თვითონ, მუდამ ლალატობდა და ლალატობს დემოკრატიას.

ჩვენ გამოვცადეთ, თუ რა ფასი აქვს საბჭოებთან შეთანხმებას და ხელშეკრულების დადებას; მაგრამ ომი ისეთი საშინელებაა და ისეთი დიდი საკითხია, რომ იმის თავიდან ასაცილებლათ, თავისუფალი ქვეყნები მზათ არიან ყოველგვარ საშვალეებას მიმართონ.

სასწაული რომ მოხდეს და «აღმოსავლეთსა» და «დასავლეთს» შორის მშვიდობიანობა დამყარდეს, ასეთი შეთანხმება გულისხმობს უმთავრესად მშვიდობიანობის დამყარებას ეკონომიურ სფეროში «თანაარსებობის» ნიადაგზე; ამ შემთხვევაში საერთაშორისო მოძრაობის მეორე კვანძი, ეროვნული საკითხი, რჩება მაინც მოუწყვრიგებელი. ამ უკანასკნელ საკითხის ირგვლივ კი ხდება ახლა უმთავრესად არეუ-დარევა, აჯანყება, ომები და სხვ. შეიძლება ამ გზას, ერთა განთავისუფლების გზას, აცილდეს კაცობრიობა და კერძოთ საბჭოთა კავშირი? ამის ნიშნებს ჩვენ არსად ვხედავთ. ამიტომ შესაძლებელი არის, რომ ერთხანს კიდევ ახლანდელი საომარი სამზადისი ნამდვილი ომით არ გათავდეს და შესაძლებელია ისიც, რომ ეს მტკივნეული საკითხი, ეროვნული საკითხი, აღმოსავლეთში გადაუწყვეტელი დარჩეს კიდევ ერთხანს. ამ მდგომარეობით სარგებლობდენ და ისარგებლებენ კომუნისტები, მაგრამ ეროვნებათა გამოღვიძება მათი მუშაობის ნაყოფი არ არის. მე-19 საუკუნის ისტორია ბევრ მაგალითს

იძლევა იმისას, რომ ომებს და რევოლუციებს თან მოყვებოდა ხოლმე ეროვნულ მოთხოვნილებათა წინა პლანზე წამოყენება. «ერთი ერი, ერთი სახელმწიფო» — ეს არ არის ლოზუნგი რეაქციონური. ევროპის ტერიტორიაზე ეს თითქმის სავსებით განხორციელებული იყო პირველი დიდი ომის შემდეგ; ახლა საბჭოთა კავშირია ერთად ერთი მრავალეროვანი სახელმწიფო. მაგრამ ეს სამუდამოთ ასე უნდა დარჩეს? რა საბუთით? არ უნდა ეკითხოს თვით ერებს, რა სურთ და ვისთან ყოფნა?

საბჭოთა კავშირში ეროვნულ საკითხის შეუსაბამო მდგომარეობას შეუძლებელია არ გრძობდეს რუსის ხალხის დემოკრატიული ნაწილი; მაგრამ ამ საკითხის რადიკალურათ გადაჭრას ბოლშევიკების დაცემის შემდეგ აშკარათ და ურთევროთ ისინიც ვერ ბედავენ; ამის უმთავრესი მიზეზია უსათუოდ შინაურ პოლიტიკის მოსახრებანი. და აქედან გამომდინარეობს სიძნელე და სირთულე რუსის და არა-რუსის ერების წარმომადგენლების ერთ ჭაპანში გულწრფელათ შებმის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველათ.

მიუხედავად ამ დიდი სიძნელისა, ჩვენ უნდა ვცადოთ მაინც გზა რუსის ხალხის თუნდაც მცირე ნაწილის წარმომადგენლებთან შეთანხმების საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველათ. თუ ეს მოხერხდება, ეს გადავიღებს ჩვენს ბრძოლას ეროვნულ თავისუფლებისთვისაც. ამ საკითხს ასე უყურებენ ჩვენი მომხრენიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ხოლო ჩვენ უნდა ვამცნოთ ჩვენს თანამებრძოლებს აშკარათ და გულახდილათ ჩვენი განსაკუთრებული პოზიცია, რუსებთან შეთანხმებით, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაშინ იქნება გასაგები მტრისთვისაც და მოყვრისთვისაც ჩვენი კონკრეტული გზა და მოქმედება ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ თავისუფალი ვართ და უნდა დავრჩეთ თავისუფალი ჩვენს მოქმედებაში. საქართველოს საკითხი, უნდა ვეცადოთ, არ ამოიშალოს საერთაშორისო უფლების სფეროდან, არც ერთ სახელმწიფოდან მოსალოდნელ მფარველობის მიზნით. ამიტომ სფერო ჩვენი საკითხის პროპაგანდის უნდა გაეავრცელოთ ყველა იმ სახელმწიფოებში, რომელთაგან საქართველოს დამოუკიდებლობა ცნობილი იყო იურიდიულათ. ჩვენ კავშირში უნდა დავრჩეთ საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა ერებთან და უწინარეს ყოვლისა ჩვენ მეზობელ კავკასიის ერებთან.

ხოლო საფუძველი ყოველივე ამის არის და უმთავრეს როლს ჩვენი საკითხისთვის თამაშობს თვით ჩვენი ხალხის სულისკვეთება თავისუფლათ და დამოუკიდებლათ არსებობისთვის.

ამ მოხსენებიდან, რომელიც ავტორმა უფრო ვრცლად განავითარა, მას გამოყავს შემდეგი დასკვნები:



30267



## დასკვნები:

1. ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენ გვაველებს, რათა მტკიცეთ დავრჩეთ იმ პოზიციაზე, რომელზედ დარჩა ჩვენი ხალხი 1921 წლიდან, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, და იმის პოლიტიკური ემიგრაცია უცხოეთში, ესე იგი: ჩვენ უნდა დავრჩეთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლის ნიადაგზე.

2. ბრძოლა გრძელდება. და თუმცა ამ ბრძოლაში მართლაც არა ვართ, მაგრამ მან შეიძლება კიდევ ხანგრძლივი ხასიათი მიიღოს; ამისთვის საჭიროა, რათა ქართველ ერმა შეინახოს თავისი ეროვნული სულისკვთება, სიყვარული ეროვნულ თავისუფლების და გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის. ეს მთავარია.

3. ხოლო საოკუპაციო ხელისუფლება არავითარ ზომებს არ ერიდება, რათა ჩვენი ხალხი გასტეხოს წელში, უმთავრესად ჩვენი მოსახლეობის, სხვადასხვა მომიზეზებით, თავის ქვეყნიდან გადასახლებით და უცხო ელემენტების ჩვენ ქვეყანაში ჩამოსახლებით. ამიტომ ქართველ ხალხს დიდი სიფრთხილე მართებს, რათა იგი არ წამოეგოს საოკუპაციო ხელისუფლების მიერ გადადგმულ რამე საპროვოკაციო ზომებს და ამ გარდამავალ ხანაში თავი შეინახოს ფიზიკურ განადგურებიდან.

4. ქართველი ემიგრაცია იმდენათ მცირე-რიცხოვანია, რომ იგი არ წარმოადგენს არავითარ ძალას ერის ფიზიკურათ დასახმარებლათ; ამიტომ ემიგრაციის და იმის ხელმძღვანელების უმთავრეს დანიშნულებათ რჩება: გააცნოს განათლებულ კაცობრიობას ქართველი ხალხის ეროვნული სულისკვთება და ის მდგომარეობა, რომელში ჩაყენებულია ახლა ქართველი ხალხი თავის სამშობლო ქვეყანაში; დაიცვას ქართველი ერის მიერ მოპოებული საერთაშორისო უფლებები და პროპაგანდა გაუწიოს საქართველოს საკითხს ყოველგან, სადაც მისი ხმა მისწვდება.

5. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის აღდგენისთვის, ჩვენ შევდივართ საქმიან დამოკიდებულებაში თუ კავშირში ყველა იმ ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელნიც იბრძვიან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, უდავოთ იცნობენ ქართველ ერის სუვერენულ უფლებას თვით განაგოს თავისი ბედი და მის მისწრაფებას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის და, საერთოდ, აღიარებენ ურუნერვოთ ერთა თვითგამორკვევის უფლებას. კერძოდ, სასარგებლოთ უნდა ჩაითვალოს ამ ნიადაგზე შეთანხმება საერთო ბრძოლისთვის, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, თვით რუსის ხალხის წარმომადგენლებთან, რადგან, რამდენათ უფრო ძლიერი იქნება თვით რუსის ხალხის მონაწილეობა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, იმდენათ

უფრო ადვილი იქნება საბჭოთა ხელისუფლებასე გამარჯვების მოპოება და თავის დახსნა საბჭოთა კავშირიდან.

6. ჩვენი მოთხოვნილება ეროვნულ სფეროში არის მოთხოვნილება ყველა დემოკრატიულ და სოციალისტურ პარტიების, ამისთვის ჩვენი პარტიის სახლვარ-გარეთელი ბიურო, და პარტიული ორგანიზაციები საერთოდ, უნდა შეეცადონ უფრო მჭიდრო კავშირი დაამყარონ მეორე ინტერნაციონალში შემავალ პარტიებთან, რომლებმაც თავიდანვე ენერგიულათ ხმა აღიმალღეს საქართველოს ოკუპაციის წინააღმდეგ.

7. ჩვენ უნდა ვეცადოთ გავაერთიანოთ ჩვენი მოქმედება სხვა ქართველ პოლიტიკურ ჯგუფებთან, გარკვეულ პოლიტიკურ პლატფორმის ნიადაგზე, რათა მათთან ერთად შევძლოთ ჩვენი საპროპაგანდო მუშაობის გაძლიერება სხვადასხვა წრეებში და სხვადასხვა ქვეყნებში. ჩვენი ქვეყნის ინტერესი მოითხოვს, რათა ჩვენ კავშირი და ურთიერთობა დავიჭიროთ საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა ერებთან და უპირველეს ყოვლისა ჩვენ მეზობლებთან, კავკასიელ ერებთან, და შემდეგ ყველა იმ ერების წარმომადგენლებთან, რომელნიც ებრძვიან საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას; ხოლო ჩვენი ბედი არ უნდა გადავაბათ რომელიმე ერთი სახელმწიფოს მოქმედებას და მის დამოკიდებულებას სხვა ერებთან; ჩვენ უნდა ვეცადოთ, რათა მეგობრულ დამოკიდებულებაში დავრჩეთ ყველა ერებთან, დამოკიდებულებაში თავისუფალში და არა დამორჩილებულში; ჩვენი გზის არჩევანი ჩვენ თვითონ უნდა მოვახდინოთ.

8. ჩვენ მხარს ვუჭერთ და გვერდში ვუდგევართ საქართველოს ეროვნული მთავრობის წევრების საქმიანობას საქართველოს უფლებების დაცვის საქმეში; ჩვენ მხარს ვუჭერთ ქართულ ეროვნულ საბჭოს მუშაობას, წარმოებულს თანახმათ მის სტატუტში აღიარებულ დებულებათა და ვავალებთ ჩვენს იქ წარმომადგენლებს, რათა ხელი შეუწყონ—რამდენათ ეს შესაძლებელი იქნება—მუშაობის გაფართოებას სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა წრეებში ჩვენი საკითხის დასაცავათ.

9. ქართველი ერი არ შერიგებია და არც შეურიგდება საოკუპაციო ძალის მიერ თავზე მოხვეულ მდგომარეობას. იგი იბრძვის და იბრძოლებს სხვადასხვა საშვალელებით უცხო უღლის გადასაგდებათ. საქართველოს სოციალდემოკრატია მასთან იყო და მასთან იქნება ამ ბრძოლაში საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენამდის პოლიტიკურათ და სრული სამართლიანობის დამყარებამდის სოციალურათ და ეკონომიურათ.

#### და დ გ ე ნ ი ლ ე მ ა :

საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის სახლვარ-გარეთელ ბიურომ, პარიზის კომიტეტის და ეროვნულ

საბჭოს ჩვენი ფრაქციის წევრების მონაწილეობით, მოისმინა მოხსენება ამხ. კ. კანდელაკის თემაზე: «საერთაშორისო მდგომარეობა და ჩვენი მოქმედების ხაზი».

იქონია მსჯელობა ამ მოხსენების გამო ამ წლის 9 და 23 იანვარის სხდომებზე და

ერთხმათ დაადგინა:

საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის სა-  
ზღვარ-გარეთელი ბიურო იზიარებს კ. კანდელაკის მოხსენებაში გამოთქმულ აზრებს და აუცილებელ საჭიროებათ სთვლის, რათა ამ მიმდინარე მომენტში პარტიის წევრებმა ამ მოხსენებიდან გამომდინარე დასკვნებით იხელმძღვანელონ.

## მ ც ი რ ე შ ე ნ ი შ ვ ე ნ ბ ი .

ევროპის შეკავშირება.

საფრანგეთის პარლამენტის მიერ უკვე დადასტურებულ ევროპის კავშირის ძალაში შესვლა მოკლე დროს საკითხია. ამიერიდან სუვერენული გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკა იარაღს ისხამს და ატლანტიკის ნაციათა ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი ხდება.

შეშფოთდენ კრემლის აგრესორები. აგორდა მუქარების კორიანტელი.

უნდა გამოვტყდეთ, ჩვენ ისევე კარგად გვესმის ევროპის შეკავშირებით აგორებულ შიშის ჯარების მიმართულება, როგორც თვით მოსკოვს. მეორე მსოფლიო ომში სამხედრო ავტორიტეტების მიერ მიღებულ გამოცდილებით ერთ გერმანულ დივიზიის გასამკლავებლად საჭირო იყო წითელი არმიის 4 დივიზიის რაოდენობა. ამ ანგარიშით უნიონის მიერ გათვალისწინებულ 12 გერმანულ დივიზიას დასპირდება სულ მცირე 50 დივიზია. მაგრამ ამას თუ დაუმატებთ, რომ «საჭიროების დროს» გერმანია ადვილად შესძლებს დივიზიების რაოდენობა, თუ მეტი არა, სამჯერ მაინც გაადიდოს, სრულიად საპატიოდ უნდა ჩავთვალოთ მოსკოვის გულის ძგერა, რომ მისი სამხედრო ძლიერებით წაქეზებული ექსპანსიების ხანა სამუდამო მოგონებას ჩაბარდა.

ევროპის შეკავშირებით და ამ კავშირის ამერიკასთან მჭიდროთ გადაბმით თავისუფალმა მსოფლიომ უკვე გამოსძებნა ერთად ერთი მოსკოვისათვის გასაგები ენა. ამ შეკავშირების და დევიზიების რაოდენობის აზრი და მნიშვნელობაც სწორეთ იმაშია, რომ ის აჩერებს საბჭოთა ექსპანსიას. და ამით ის ემსახურება ერთადამიწვე დროს, როგორც თავის საკუთარი თავის დაცვას, ისე საერთო მშვიდობიანობის შენარჩუნებას.

არ მომვედარა და არც ხდინავს.

თუ მეხსიერება არ გვდალატობს, უკვე ორი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ რაც კომუნისტებმა ქართული ემიგრაცია საბოლოოდ—მერამდენჯერ?—დაშლილ-განადგურებულად გამოაცხადეს და ამ ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებულ მოხეტიალეთა მოგონებაზეც ხელი აიღეს. გულახდილად ვიტყვი, ასეთ ტაქტიკაში იყო ერთგვარი აზრიც. მათთვის ახდელი საიდუმლოება იყო ერის განწყობილება ტირანიისადმი და ემიგრაციის ძაგებიდან მის მიერ გამოტანილი დასკვნები სრულიად არ ამართლებდენ მოსკოვის მონამორჩილთა ანგარიშებს.

დღეს, ეტყობა, თვითონაც დარწმუნდენ იმაში, რომ ამ ტაქტიკამ მოლოდინი არ გაუმართლა, ქვეყანა მონობას არ შეურიგდა და იმედოვნებს, რომ მოძალადეებს თავიდან მოიცილებს. ამ მიზანში რომ მას თავისუფალ ქვეყნებში განიხნული ემიგრაცია საიმედო დამხმარე ძალად მიაჩნია, ეს ხომ ბუნებრივიც არის და ნორმალურიც.

უთუოდ ამით აიხსნება ამ ათასჯერ წეს-აგებულ და დასამარებულ ემიგრაციაზე კვლავ ალაღადების ნოველა ოდნავ შესწორებულ ფირფიტის ისევ ატრიალებით. ეს კორექტივია ემიგრაციის საიქიოდან ისევ უკან გამოწვევა, ინტიოზავრების გაცოცხლება და ამ არაერთჯერ წახდენილ-გათახსიერებულ მამულიშვილთა კატეგორიის კიდევ ერთჯერ გათახსიერება. ამ ეამად, თითქმის მწყობრად, ინგლისის შპიონაჟში შეყვანით... თბილისის «ხ. ვ.»-ში ახლად მოქცეულ შ. მალაკელიძის «ავტორობით» გამოფენილი ჭუჭყიანი ზეწარი მეტს არაფერს წარმოადგენს, თუ ამ არ ნოველის პირველ ცდას.

ჩვენ დღეს, რასაკვირველია, არა გეპეუს მიერ, თუ მისი კარნახით, მოჭორილ-სიბინძურის შინაარსი გვანტერესებს. გარდა იმისა, რომ ასეთ დაწესებულებასთან სასაუბრო და საბოდიშო არაფერი გვაქვს, კომსომოლის რიგებიდან ესლახან გამოჩეკილ წვრილფეხა ფინიების მიერ შეთხზული მთელი ეს აბდა-უბდა სტალინ-ბერიას წიაღში ნაადრევად «მივლინებულ» მათ წინამოადგილეთა მიერ არაერთჯერ ნაცოხნი ამბავია. საყურადღებოა მხოლოდ ემიგრაციაზე კვლავ ალაპარაკების ფაქტი, რაიც იმას ამხელს მხოლოდ, რომ საბჭოთა ქვეყანაში ყველაფერი წესრიგზე ვერ უნდა იყოს.

ყოველ შემთხვევაში ერთი რამ გადაჭრით შეიძლება ითქვას: კომუნისტები თავიანთ იმედებში ესლაც გაწბილებული დარჩებიან. მალაკელიძის «ინფორმაციები» ქართველ ერს არც მის სულთამხუთავთ შეაყვარებს და არც ემიგრაციას შეაძულებს. პირიქით, როგორც ყოველთვის, ის სტრიქონებს შორის ესლაც იმასვე ამოიკითხავს ამ უგვანო კორიანტელიდან, რომ ემიგრაცია არსებობს, ცოცხლობს, შეძლების მიხედვით საქმიანობს კიდევ და ფხიზლად სდგას მისი ტანჯული ერის სადარაჯოზე.

ქ. რ.

## ჩედაძვისაგან.

ჩვენ ვსარგებლობთ შემთხვევით განვაცხადოთ შემდეგი: ქართველ ემიგრაციის ხელმძღვანელ წრეებში შვედრე-ვილ ცნობების თანახმად, საესებით გამორკვეულია, რომ შ. მაღლაკელიძე, დღიდან საქართველოს ოკუპაციისა, არავითარ საქმიან დამოკიდებულებაში არ ყოფილა ქართულ პასუხისმგებელ დაწესებულებებთან და მათი არავითარი დავალების ამსრულებელი იგი არ ყოფილა. აქედან ცხადია, რომ საბჭოთა პრესა ალაპარაკებს მას ჩეკაში შედგენილ დეკლარაციებით. ყველასთვის კარგად ცნობილ ჩეკის ენით და ტრაფარეტულ წინადადებებით.

## კარლ კაუცკი და საქართველო.

სოციალისტურ ინტერნაციონალმა, 10 ოქტომბერს 1954 წ., ფართოთ აღნიშნა თავის პრესაში კარლ კაუცკის დაბადების ასი წლის თავი. ჩვენთვის, ქართველებისთვის, კ. კაუცკი განსაკუთრებული ხსოვნის ღირსია, რადგან საქართველოს მდგომარეობას უდიდეს თანაგრძნობით და ყურადღებით მოეპყრა იგი. არც ერთ ევროპიელ მწერალს იმდენი ღვაწლი არ მიუძღვის საქართველოს საკითხის უცხოეთში პოპულარიზაციაში, რაოდენი კ. კაუცკის. მან ჩვენი ქვეყანა დაპყრობილი, მძიმეთ დაპყრილი, და შეურაცყოფილი ყველა ჩაგრულ ერთა სიმბოლოთ აქცია. მის გავლენიან ხმას დიდის ყურადღებით უსმენდენ ყოველგან, რამდენიმე ათეული წელიწადი გავიდა მას შემდეგ. მაგრამ კ. კაუცკის დამოკიდებულება საქართველოს საკითხთან არ ამოწმილია ევროპის საზოგადოების მესხიერებიდან. იხსენებენ კ. კაუცკის და მასთან ერთად იხსენებენ საქართველოს, როგორც მისი ზრუნვის ორგანიულ ნაწილს. აი, მაგალითად, რას ვკითხულობთ საფრანგეთის სოციალისტების ჟურნალში «Populaire Dimanche» 12 დეკემ. 1954 წ. კარლ კაუცკიზე ამხ. ბერტა ფუშერის წერილში:

«კარლ კაუცკი ყველა დიდ სოციალისტურ მოაზროვნეთა შორის ყველაზე დიდი და უკეთესი მასწავლებელთაგანია. მის მრავალ ტომებთან შრომებს, რომლებიც გვასწავლიან ვიფიქროთ სოციალისტურათ, ჩვენ აქ არ შევხვებით. შევხვებით მხოლოდ ერთ მის წიგნაკს, დაწერილს ქალ. ვენაში 1921 წ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბროშურა დაიწერა აგერ 30 წელზე მეტია, მაინც ისაა უაღრესათ სადღეისო და დამახასიათებელი. ამ წიგნის სახელწოდებაა: «საქართველო გლეხთა სოციალისტური რესპუბლიკა». აი რა პირობებში დაიწერა ეს წიგნაკი: «საქართველოს სოციალისტურმა მთავრობამ 1920

წელს ახალგაზრდა რესპუბლიკის გასაცნობათ და სოციალური პირობების ადგილზე შესასწავლათ მიიწვია სოციალისტური ინტერნაციონალის გამორჩენილი მოღვაწეები: რამზეი მაკდონალდი, ტომას შოუ, პიერ რენოდელი, ემილ ვანდერველდე, ლუი დებრიუკერი, კამილ გიუსმანსი, კარლ კაუცკი და მისი მეუღლე ლუიზა კაუცკისა. საქარ. მთავრობის თავმჯდომარის ნ. უორდანიას დაპატიჟებას თანხმობით უპასუხეს ზემო დასახელებულ პირებმა. საქართველოს სოც. დემოკ. მ. პარტია ამყობდა ინტერნაციონალის დელეგაციის სტუმრობით, განსაკუთრებით, მათი ლიდერით კარლ კაუცკით. ეს უკანასკნელი თავის მხრივ ბედნიერათ სთვლიდა თავს, რომ ნახა ადგილზე, თავის თვალით, მუშათა და გლეხთა სახელმწიფო, რომელიც ეწყობოდა დემოკრატიულ სოციალიზმის ნიადაგზე, მშვიდობიანობის გზით. ვენაში დაბრუნებისთანავე კ. კაუცკიმ დასწერა ზემოთ აღნიშნული ბროშურა, რომელიც იყო არა მხოლოდ მის მიერ ნახული და შემოწმებული მშენებლობის აღნიშვნა, არამედ რჩევის მიცემაც ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკისათვის. აი რას ვკითხულობთ ამ წიგნაკში: შეხედულება თითქოს სოციალისტურ მთავრობამ უახლოეს მიზნათ უნდა დაისახოს სოციალიზმის განხორციელება, სიყალბეა. ამნაირი მთავრობის უპირველესი მოვალეობაა, ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური ძალის განვითარება პროლეტარიატში... მუშათა კლასი არ გულისხმობს მარტო ინდუსტრიალურ პროლეტარიატს, არამედ გლეხებს, ხელოსნებს და ინტელიგენციას, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატია ბერკეტი რევოლიუციისა... სოციალისტური რეჟიმი შესაძლებელია თუ გინდ ეკონომიურათ ჩამორჩენილ ქვეყნებშიდაც, თუ დემოკრატია არსებობს სახელმწიფოში და თუ ინდუსტრიალური პროლეტარიატი, გონებრივით და ორგანიზაციულათ უფრო მაღლა სდგას სხვა კლასებზე და დემოკრატიის და დემოკრატიულ ხელისუფლების საშვალეობით განაგებს ქვეყანას; თუ სოციალისტურ მთავრობას აქვს გათვალისწინებული მისი შესაძლებლობანი და თუ საწარმოვე ძალთა განვითარება ქვეყანაში შეეფერება პროლეტარიატის სიძლიერეს. კ. კაუცკი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობამ აირჩია თანდათანობით განვითარების მეთოდი. მაგრამ ის გრძობდა იმ სავარეო საშიშროებას, რომელიც მოელოდა სოციალისტურ რესპუბლიკას. და მართლაც საქართველო ვახდა მსხვერპლი მოსკოვის იმპერიალიზმისა. საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს სოციალდემოკრატიულ მთავრობასთან მშვიდობიანობის და მეგობრობის ხელშეკრულება დასდო; მაგრამ საბჭოთა რუსეთი მუდამ სამტრო პოლიტიკას განაგრძობდა მის მიმართ და ახალგაზრდა რესპუბლიკაზე გაბატონებას ფიქრობდა. თუმცა საქართველოს მთავრობა ცდილობდა, რათა რუსეთსა და საქართველოს შორის დამკვიდ-

რებულიყო მართლაც მეგობრული დამოკიდებულება, 1921 წ. თებერვალში, ომის გამოუცხადებლათ. საქართველოს შეესია საბჭოთა წითელი ჯარები; ქართველმა ერმა იბრძოლა გმირულათ, მაგრამ საბოლოოთ მაინც გასრისა რუსეთის ბოლშევიკურ ჯარებმა, მათ წესი აუგეს ახალგაზრდა რესპუბლიკის დამოუკიდებლობას: საქართველო შეიერთეს.

სოციალისტურ ინტერნაციონალმა სასტიკი პროტესტი განაცხადა ამ გაუგონარი ძალადობის წინააღმდეგ. გაიმართა მიტინგები, კრებები, ყველა იმ ქვეყნებში. სადაც კი არსებობდენ სოციალისტური პარტიები. ყველა სოციალისტურ პარტიათა მეთაურებმა საჯაროდ საზოგადოებრივი აზრისა და სინდისის წინაშე, დაკგმო აგრესია ბოლშევიკური იმპერიალიზმისა თავისუფლების მსურველ პატარა და მშვიდობიან ქვეყნის წინააღმდეგ. კარლ კაუცკის გული გაუპო საქართველოს დაპყრობის ამბავმა... მან მაშინვე მოუწოდა ინტერნაციონალში შემავალ ყველა სოციალისტურ პარტიებს, რათა მორალური და პოლიტიკური დახმარება აღმოეჩინათ წამებულ საქართველოსათვის; მაგრამ მოსკოვის იმპერიალიზმა შესძლო ტერორით თავისი დიქტატურის დამყარება სოციალისტურ რესპუბლიკაზე.

1922 წელს საქართველოს სოც.-დემოკ. მუშათა პარტიის ცენტ. კომიტეტმა, გადმოხვეწილმა უცხოეთში, გამოაქვეყნა პარიზში წიგნაკი «სოციალისტური ინტერნაციონალი და საქართველო», რომელიც დიდი ისტორიული ღირებულების დოკუმენტია».

ლევ. ტალივა.

### „დაგვიხმელი მჭირლობა“.

ბოლშევიკურ წყობილების პირველ ათეულ წლებში. მართალია, თავისუფალ შემოქმედების ქნარი კვნესდა, იტანჯებოდა, მაგრამ მაინც ახერხებდა ქარაგმული თქმითა თუ სიტყვის ოსტატური მიხვევით მკითხველს მისწვდომოდა. მე-19 ყრილობის შემდეგ მწერლობა ხდება მოვლენათა ისეთ კატეგორიით საზოგადოებრივ ცხოვრების ასპარეზზე როგორც ხრუჩევის გეგმა, წინასწარ გაწალდული, დაგეგმილი. მალეიდან გადმოცემულ თემატიკის გოდრით დატვირთული. პირველი საფუძველ მწერლობისა და მისი დასყდენი—პარტიულობაა, პარტიის უზენაესობა, მისი გენიოსობა. მალენკოვი ასეთი უქაზით გამოვიდა ყრილობაზე: «ლიტერატურამ და ხელოვნებამ გაბედულად უნდა გვიჩვენონ ცხოვრების წინააღმდეგობანი და კონფლიქტები, მათ უნდა აკონდეთ უნარი კრიტიკის იარაღის გამოყენების. ტიპიურობა რეალისტურ ხელოვნებაში პარტიულობის გამოვლინების ძირითადი სფეროა. ტიპიურობის პრობლემა ყოველთვის პოლიტიკური პრობლემაა».

რატომ ასე გააფთრებით იბრძვის ხელისუფლება ამ ტიპურიობისთვის? გასაგებია. მას სურს და ითხოვს მწერლიდან ახალი ადამიანის შექმნას, ბედნიერისა და თავდადებულის, გმირისა და ერთგულის, რომელიც უნდა ასახავდეს საბჭოთა ცხოვრების სინამდვილეს. ასეთი უპირისპირდება უკმაყოფილოს, უმადურს, რომელიც ჩივის, იწუნებს პოლიტიკურ სისტემისგან შექმნილ ცხოვრებას, მწერლის ვალია ამ დაპირისპირების ფანტაზიის სფეროში გადასროლა და ასე მოქალაქეთა შორის არ არსებულ სოციალურ კონფლიქტის გაზრდა და გაბერვა. საბჭოთა პოლიტიკურ მართველობაში ერთ მხარეზე სდგას მცირე—პრივილეგიურ მდგომარეობაში მყოფი მოხელეები და ჯარი, მეორეს მხრივ გაძვალტყავებული და უფლება აყრილი მოსახლეობა, მაშასადამე აქ კონფლიქტი, დაპირისპირება ხდება ხელისუფლებასა და მცხოვრებთა შორის. ამის გამოშლავდება და თუნდაც მხატვრული ფორმით დახატვა იქნებოდა საბჭოთა რეჟიმის საბრალდებულო სკამზე დასმა, მისი გაკიცხვა და მის წინააღმდეგ ბრძოლის დროის აღმართვა. ეს იქნებოდა ის რეალიზმი მწერლობაში, რომელსაც ასე დაქინებით ითხოვს ხელისუფლება და მისი თეორეტიკოსები. «რეალიზმს» სულ აცლიან, არ არსებულსა თხზვენ და მას «სოციალისტურ რეალიზმთან» ასაღებენ...

წლები მიდიან და ხელისუფლება უკმაყოფილო რჩება მწერლობის, არ იქნა მან ვერ გამოკვეთა ჯერ ის წამყვანი ხაზი მხატვრული ლიტერატურისა, რომელსაც შეეძლო დიდ ტილოზე მოეცა საბჭოთა საზოგადოების დადებითი სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრების მიღწევათა დიდი სურათი.

პარტიულობამდე დაყვანილი, დაკნინებული და დაწვრი-მალეებული კალმის წვერი ვერ ბედავს თავისუფალ გაქანებას, იგი ბატონის მიერ მოცემულ უქაზის შიშით ერთს ადგილზე იბეკნება, ფრთებს ვერ შლის, გაბედულდება ვერ იჩენს, თავის შემოქმედებას ვასაქანს ვერ აძლევს.

ტიპი გარკვეული ეპოქის პროდუქტია და იგი არ შეიძლება არ ატარებდეს სოციალურ და ისტორიულ ეპოქის ნიშნებს. დღევანდელ საბჭოთა საზოგადოების კომუნისტური სათავეები—რომ იძლეოდნენ რეალურ ტიპებს კმაყოფილს სოციალური მდგომარეობით, თავდადებულსა და ერთგულს აქ არა რეალური არაფერია, მაგრამ ეს ტიპები არ წარმოადგენენ საზოგადოების უმრავლესობას, არამედ ისინი განსახიერება არიან უსამართლობის, ძალადობის, რომელიც კლასიკოსთა მიერ გაშიშვლებულნი იქნებოდნენ, საზოგადო ასპარეზე გამოყვანილი ვითარცა მხაგრელნი და გასაქიცხნი... მწერალმა კი ისინი უნდა აქოს და ადიდოს და ამიტომაც არის გამოტანილი ტიპის დახატვა ძალდატანებითა—იგი არა რეალურია. მხატვრობაც უსუსურია, წელ მოტეხილია და ასე იქნება მუდამ, სანამ ხელისუფლება მწერლობას მალედიან დასცქერის და ვასაქანს არ აძლევს.



სანიმუშოდ საკმარისია თვალი გადავაგლოთ სამას გვერდიან რომანს «მალაროებში», რომელიც ცხადყოფს იმ დაკნინების სრულყოფას, რაიცა პარტიულობის გამარჯვებამ სავსებით გაამეფა.

აქ წარმოდგენილია ორი მოპირდაპირე ბანაკი,—ერთ მხარეზეა სოფლის «კულაკი», ლოთი კომისარი, უპასუხის-მგებლო პარტკომის მდივანი,—მეორეს მხრივ წმინდა წყლის კომუნისტები, ამათაგან მოდის სამართლიანობა, სიკეთე, პირდაპირობა და პატიოსნება, ხოლო პირველი განსახიერებანი არიან ბოროტების, ავანაკობის. დარაზნა რა ამ რიგად ავტორმა ძალები, ყოველგან და ყველაფერში წმინდანებათ გამოიყვანა ბოლშევიკები, ხელმძღვანელები მოკალათებულნი თბილისში ან მოსკოვში.

ერთი დამსახურება მიუძღვის ამ მწერალს, მისდა უნებურად მან დავიგნატა საბჭოთა საზოგადოება, რომლის სისქტემა ხომ იმავე მისგან ნაქებ კომუნისტებიდან არის მოწყობილი, საზოგადოება დამპალი, გათახსირებული; გაიძვერა, მედროვე, რომლებიც ყველგან შეჭრილან, ქრთამი, გაფლანგვა, მოტყუილება გამეფებულა დაწესებულებებში—მართალია ყველგან ავტორს მოჰყავს კომუნისტური ხელი და ამ ბოროტების ქსელს არღვევს დამნაშავეთ სჯის, სტუქსავს.

მაგრამ სინამდვილე რჩება, საზოგადოება ცურავს ხალტურასა და ამორალურ წუმბეში.

მეორე წამყვანი ხაზია წმინდა საიმპერიო აზროვნების დანერგვა, მოსკოვის გაღმერთება, მკითხველის გულში მისი სიყვარულისა და პატივისცემის ჩანერგვა. აი მაგალითიც. მალაროს მუშას უბედური შემთხვევა მოუვიდა. საჭიროა რთული ოპერაცია. მოჰყავთ მოსკოვიდან ცნობილი ქირურგი. აქ დასაძრახისი არაფერია. უცხოეთიდან სპეციალისტის მოწვევა ნორმალური მოვლენაა. მაგრამ გაიგებს თუ არა ამას მოხუცი მამა ასე მიმართავს თავის რძალს: «შეიშვრე შეილო ცრემლი, მოსკოვი ყველგან სიკეთეს გზავნის, იგი მილიონების სიხარული და იმეღია»...

ჩვენი მკითხველისთვის ზედმეტია განმეორება იმისი თუ რა სიკეთე შეაქვს მოსკოვს მისგან დაპყრობილ ერებში. მოსკოვისა და კომპარტიის გულის მოსაგებათ ავტორმა ათქმევინა ქართველს და ისიც მოხუცს მუშას, საწინააღმდეგო იმისა, რასაც ეს მუშა ფიქრობს. ასეთად შეთხზული რომანი გარდა თავის სიყალბისა მოკლებულია ყოველგვარ ესთეტიურ მოცულობას, მხატვრულ ფეროვნებას.

უკვე კარგა ხანია მოსკოვმა უნდობლობა გამოუცხადა საკუთარ კრიტიკოსებს ეროვნულ ერთეულებში; მაგალითად, საქართველოში მან წარგზავნა ვინმე დრუზინი თბილისში მწერალთა ყრილობაზე დასასწრებლად, არჩევნების ჩასატარებლად, ერთგულ დელეგატთა ასარჩევად მოსკოვში განზრახულ ყრილობაზე დასასწრებლად.

უკანასკნელ ათეულ წლების განმავლობაში მოსკოვი ცდილობდა მხატვრული მწერლობის საშვალეობით განედევნა ნაციონალურ თვისებათა დახატვა და მის მაგიერ ერთ მთლიან საბჭოთა იმპერიის მოქალაქის პიროვნების გამოკვეთა, განსაკუთრებული სულისკვეთებით და მოქალაქობრივი შეგნებითა და მოვალეობით, რუსული ნაციონალიზმი ერთის მხრივ თითქოს წინ არ ეღობება ნაციონალურ კულტურის განვითარებას და საშვალეებას აძლევს ადგილობრივ ძალებს მუშაობისა და მოღვაწეობის. მაგრამ უბრალო თვლით უჩინარ ვითარების პირბადეში იმალება მხაკვრული განზრახვა—ერის სულიერ სიღრმეში შეჭრის, მისი დაპყრობის და დამორჩილების. კომპარტიის თეორიაზე აშენებული ლიტერატურა უდიდეს იარაღად არის მიჩნეული ხალხის თავისუფალ მისწრაფებათა შესაბორკად, მისი ნება-სურვილების ჩასაკლავად, მათ აკრძალული აქვთ ადამიანის ფსიხიკისა და ხასიათის ახსნა, იქიდან ადამიანურ მოთხოვნილებისა და მისწრაფების გახსნა, გამოაშკარავება და მით საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრა, ხოლო ეროვნულ ფარგალში ზედმეტად ამისა—ეროვნული ლამპარის ჩასაქრობად. ქართველ ერის ათასწლოვან კულტურის კედლებს «პროლეტ. მწერლობა» თავის ბლაგვი კალმის წვერს ურტყამს და ცდილობს მის ჩამონგრევას. მაგრამ ხალხის სიფხიზლე, კლასიკოსების დანატოვები განძი იმდენათ ძლიერია და ურყევი, რომ გაუძლებს ამ იერიშებს...

მწვავე სევდითა და მოკრძალებით გულჩათხრობილი იგი იმეორებს თავის საყვარელ მგოსნის აკაკის სიტყვებს:

«სანამ ჩემი საყვარელი  
ქაჯებსა ჰყავს ცხრა კლიტულში,  
ვინ მალირსებს სასუფეველს,  
ჯოჯოხეთი მიძევს გულში»...

მოსკოვში ჩატარებულ ყრილობას არავითარი ცვლილება არ შეუტანია პარტიის მე-19 ყრილობის მიერ მიღებულ სახელმძღვანელო დებულებებში. პირიქით მისი მუშაობა ჩატარდა მხატვრულ მწერლობაში—პარტიული ხაზის—განსამტკიცებლად და გასამაგრებლად.

ა. ბაიდინე.

## 3 რ ე ს ა.

### 1.

უკანასკნელ ომის შემდეგ თავისუფალ ქვეყნების მართვლობაში მოექცა უმთავრესად ახალი თაობა, რომელიც სათანადოთ ვერ იცნობს საქართველოს საკითხს. დაგვარვით ავრეთვე ბევრი ერთგული მეგობარი: ზოგი გარდაიცვალა, ზოგი ღრმა მოხუცებაშია შესული. ამიტომ უცხო ენაზე ქართველი ერის მისწრაფებათა და მოთხოვნილებათა გარკვევა

უსათუოდ დიდათ სასარგებლო საქმეა. ამ მხრივ პარიზში გამოსულ «Action Géorgienne»-ს შეუძლია სარგებლობა მოუტანოს ჩვენს ქვეყანას, თუ, რასაკვირველია, საქართველომ განათავისუფლებელი მოძრაობის შეფასება ისე არ იქნა იქ გაშუქებული, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ავგისტოს აჯანყების შესახებ. თითქოს აჯანყებას შეეწირა რამოდენიმე ცნობილი სამხედრო პირი და თითქმის მეტი არაფერი. ჩვენ ღრმა პატივს ვსცემთ იქ მოხსენებულ მამულიწვილებს, როგორც ყველა პატრიოტებს, რომელნიც მსხვერპლად დაედნ განთავისუფლების საქმეს. «Action Géorgienne»-ის გადმოცემით უცხო მკითხველს შეექნება შთაბეჭდილება, თითქოს აჯანყება იყო ცდა სამხედრო გადატრიალების და არა მთელი ერის აჯანყების ოკუპაციის გადასაგდებათ. არც უცხოეთის ცნობილ მოღვაწეთა კრიტიკა არის ქართულ გამოცემის საქმე (ფრანგულ ენაზე). ჟურნალს, ვიმეორებთ, სარგებლობის მოტანა შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ იგი საქართველოს საკითხის ობიექტიურათ გაშუქებას მოხმარდება.

## 2.

მივიღეთ ჟურნალ «აღმოსავლეთ ევროპის ტრიბუნა»-ს მე-4 ნომერი (ინგლისურ ენაზე). იქ მოთავსებულია ბ. ნიკო ნაკაშიძის წერილი «საბჭოთა რუსეთში შემავალ მცირე ერთა პრობლემა». ავტორი აცნობს უცხო მკითხველებს მოსკოვის მიერ დაპყრობილ ერთა მდგომარეობას და უმთავრესათ ვხედავთ ამ ერთა უფლებას საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. იგი სამართლიანად ადარებს გერმანიის მიერ ოკუპაციაში მომწყვდეულ ერთა ბედს ომის დროს და დღეს მოსკოვის სფეროში ჩატოვებულ «სატელიტებს». პირველთა განთავისუფლება თუ სამართლიანი იყო, განა მეორე წყება ერების მიტოვება მოსკოვის ბატონობის ქვეშ არ ეწინააღმდეგება გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის პრინციპებს?

ავტორი ურყევი ლოლიკით აღნიშნავს, რომ შეუძლებელია აგრეთვე იმ ერთა უფლების განცალკევება, რომელნიც 1939 წელს იყვნენ ძალით შეერთებულნი, და იმათი რომელთა დაპყრობა მოხდა ათეული წლოებით ადრე. საერთაშორისო უფლების მიხედვით არ შეიძლება, მაგალითად, განსხვავება არსებობდეს ბალტიის სახელმწიფოთა და საქართველოს შორის. თავისუფალ ქვეყნების მოვალეობა არის მოთხოვნა იმის, რათა ოკუპაცია მოიხსნას ყველა მოსკოვის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში.

პატარა ერთა ბედის—რუსეთის შინაურ საქმეთ გამოცხადება და მოსკოვის აგრესიულ მოქმედებაზე თვალის დახუჭვა უდიდეს საშიშროებას უმზადებს თავისუფალ ერებს და მათ ცივილიზაციას, ეუბნება ქართველი ავტორი უცხოელ მკითხველს.

## ევეგენი გეგეჰეკორის პანაშვიდი.

გასული წლის 5 დეკემბერს, სოფელ ლევილში (საფრანგეთი), ევეგენი გეგეჰეკორის სასაფლაოზე გადახდილი იყო პანაშვიდი განსვენებულის გარდაცვალების ნახევარი წლისთავის აღსანიშნავათ.

თუმცა ძალიან ცუდი ამინდი იყო, პანაშვიდს მაინც დიდძალი საზოგადოება დაესწრო. კ. კანდელაკმა მოკლე სიტყვაში აღნიშნა იმ სიყვარულის და პატივისცემის გრძნობა, რომელიც განსვენებულმა დასტოვა ჩვენში; და მისი ოჯახის და ახლობელ მეგობრების სახელით მადლობა გამოუთქვამდა დავხელაძეს, რომელმაც, განსვენებულ ევეგენისთან დიდი ხნიდან სოციალდემოკრატიულ პარტიაში მუშაობის და მისი ღრმა პატივისცემის აღსანიშნავათ—, მარმარილოს დაფა, თავის ხარჯით გაკეთებული, შესაფერის წარწერით დაადვა ევეგენი გეგეჰეკორის საფლავს.

შემდეგ მამა ილიამ გადაიხადა საეკლესიო პანაშვიდი; გალობდა ქართული გუნდი.

## 6. შოკრდანიას საფლავზე.

16 იანვარს ნოე ყორდანიას გარდაცვალების ორი წლის თავზე,—ახლო მეგობრებმა და თანამშრომლებმა თავი მოიყარეს მის სასაფლაოზე და ის შეამკეს ცოცხალი ყვავილებით, რის შემდეგ ისინი მიპატიეებულნი იქნენ ოჯახობის მიერ ნოეს სამუშაო ოთახში, სადაც ზოგი ახლო მეგობრების მიერ წარმოთქმულ იქნა სიტყვა, მოგონების სახით.

## ანდრო დეკანოზიშვილი.

ამა წლის 27 იანვარს აბონდანში (საფრანგეთი), ქართველების და უკრაინელების მოხუცთა თავშესაფარში, გარდაიცვალა ანდრო დეკანოზიშვილი, საქართველოს სოც.დემ. პირველი ჯგუფის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი. თავის ახალგაზდობისას ქართულ ლიტერატურას შესძინა რამოდენიმე მოთხრობა. საქართველოს დამოუკიდებლობისას დანიშნული იყო ჩვენს ელჩად არგენტინაში. რუსის ჯარების მიერ ~~ჩვენი ქვეყნების მიწა~~ ჩვენი ქვეყნის დაპყრობის გამო არ დასცალდა მას ამ დიდი თანამდებობის დაკავება. გარდაიცვალა 87 წლის მოხუცი და თან წაიღო სიყვარული თავის ერის და ღრმა რწმენა საქართველოს უცხო უღლიდან განთავისუფლების.

საქარ. დემ. რესპუბლიკის მთავრობის წევრები, საქ. ს.-დ. პ. საზღვ. ბიურო და «ჩ. დ.»-ას რედაქცია თანაგრძობას უცხადებს ქ-ნ ელენეს მისი ძვირფასი მეუღლის გარდაცვალების გამო.

პეტრე ჩილინჯიშვილი (ჩინჯელი).

გასული წლის, 13 დეკემბერს, საბერძნეთში, გარდაიცვალა პეტრე ჩილინჯიშვილი. დაიბადა პეტრე ახალ-ციხეში, 1880 წ. ოქტომბერში. ახალგაზდობიდანვე ცხოვრობდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. 1911—1917 წ.წ. იყო «საურთიერთო ნდობის ბანკის» დირექტორათ ნოვოროსიაში და ამავე დროს მონაწილეობას იღებდა იქაურ ს.-დ. ორგანიზაციაში, რომელსაც შეადგენდენ ადგილობრივი ქართველი მუშები.

1920 წ. ის იყო აქ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლათ ქართველ მოქალაქეთა უფლების დასაცავათ.

პეტრე იყო მეტად ენერგიული კაცი. ადვილად ერკვეოდა რთულ საკითხებში და იყო მეტად საინტერესო მოსაუბრე. როგორც საქართველოს წარმომადგენელი იმ არეულ დროში ის ახერხებდა არა მხოლოდ ქართველების ინტერესების დაცვას, არამედ იქ მცხოვრები ინგლისელების, ფრანგების, პოლონელების, ბელგიელების და სხვ. დაცვასაც, რისთვის ის დაჯილდოვებულ იქნა მედალით.

საქართველოს დაცემის შემდეგ ის ცხოვრობდა ჯერ სტამბოლში და შემდეგ საბერძნეთში, სადაც გადაიცვალა კუქის კიბოთი. დასაფლავებულია «სტაროე ირაკლიონ»-ის სასაფლაოზე.

№

დავით შაჰავარიანი.

ა. წ. 25 იანვარს პარიზში გარდაიცვალა 74 წლის მოხუცი დავით შაჰავარიანი. იგი იყო სოც. ფედ. პარტიის წევრი. სამშობლოში მისდევდა მეხილეობას. ერთ დროს ერთხანათ იყო გორის ქალაქის თავათ. ჩვენი დამოუკიდებლობისას სავსებით ჩაება პოლიტიკურ-საზოგადოებრივ საქმიანობაში და მისი მეთაურობით ფედერალისტების რაზმი სახალხო გვარდიასთან ერთად მონაწილეობას იღებდა ჩვენი ქვეყნის გარეშე და შინაურ მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში.

დასაფლავებულ იქნა ლოვილის ძმათა სასაფლაოზე.

ჩ. დ. შ.-ს რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ბ-ნ ვახტანგს მისი საყვარელი მამის დაკარგვის გამო.

გენ. ალ. ვრიხთავი.

პარიზში გარდაიცვალა ცნობილი გენერალი ალექსანდრე ვრიხთავი. დასაფლავების წინ გადახდილი იქნა რუსულ ეკლესიაში წირვა და პანაშვიდი, რომელსაც დაესწრო მრავალი პატივის მცემელი. ის დასაფლავებულია სენ ენევიევის სასაფლაოზე.

## ქართველთა უცხოეთში.

საბჭოეს ყრილობა.

ქართველ ემიგრანტთა ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა ამ ახლო მომავალში მოიწვიოს პარიზში საბჭოს სხდომა. უწყება და დღის წესრიგი თავის დროზე იქნება დაგზავნილი.

ამს. ინა ქვრდიანიას მღვსენება.

გასული წლის. დეკემბერში, «სოსიეტე სავანა»-ის დარბაზში, ამხანაგ ინა ქვრდიანიამ წაიკითხა, ფრანგულ ენაზე, მოხსენება შემდეგ თემაზე: «რუსული და ქართული მენ შევიზში». მოხსენებას მრავალი მსმენელი დაესწრო, განსაკუთრებით ახალგაზდობა, რომელთათვის, როგორც სჩანს, ასეთი თემები დიდ ინტერესს წარმოადგენს. მოხსენებას დაესწრო ცნობილი, რუსი მენ შევიკი პ. ბურლინი, რომელსაც დამსწრენი მხურვალეთ მიესალმენ.

მსმენელნი მეტად კმაყოფილნი დაიშალენ. გამოითქვა სურვილი ასეთი ხასიათის მოხსენებები გაიმართოს ხშირათ.

ნ ი ნ ე ლ ი ა.

14 იანვარს, პარიზში მცხოვრებ შედედელთა დარბაზში, ფრანგულ ენაზე, გ. ნოხაძემ წაიკითხა საინტერესო მოხსენება—ძველ და ახალ ქართველ მხატვრობაზე. სურათებს ამ მხატვრობიდან აჩვენებდენ ეკრანზე და შესაფერ ახსნა-განმარტებას იძლეოდა როლან ასათიანი.

«ქართველ ყოფილ მხედართა კავშირი» \*).

წარსულ ნოემბერში მოხდა პარიზში, საფრანგეთში მყოფ «ქართველ ყოფილ მხედართა კავშირის» საერთო კრება, პოლკოვნიკ ცხაკაიას თავმჯდომარეობით. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა მეორე მსოფლიო ომში დახოცილ ქართველ მხედართა ხსოვნას.

კომანდანმა ალ. კინწურიშვილმა წაიკითხა მოკლე მოხსენება კავშირის განახლების შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ დაადგინა, რომ საფრანგეთში არსებულ «ქართველ ყოფილ მხედართა კავშირი»-ს წევრად მიღებულ იქნენ მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ყოფილი ქართველი მხედრებიც. ამისდამიხედვით შეცვლილ იქნა კავშირის წესდებაც.

კრებამ მადლობა გამოუცხადა ძველ გამგეობას და აირჩია ახალი გამგეობა ერთი წლით.

X.

\*) ეს «კავშირი» არის არა სამხედრო, არამედ ურთიერთ შორის კულტურული და ეკონომიური დახმარების ორგანიზაცია, ისე, როგორც ფრანგების ყოფილ კომბატანტების ორგანიზაცია. რ ე დ.

ახალი წიგნი.

ვიკტორ ნოზაძე «ვეფხვის ტყაოსანის განკითხვანი-  
ვეფხის ტყაოსანის ფერთამეტყველება». ბუენოს აირეს. 1954წ.  
205 გვერდი.

ეს წიგნი ძალიან საინტერესო საკითხს ეხება და დაფა-  
სება იმის «ვ.-ტყ.»-ის სპეციალისტებს ეკუთვნის. ჩვენ კი შე-  
გვიძლია აქვე აღვნიშნოთ, რომ ავტორს დიდი შრომა გაუწე-  
ვია, საკითხის გასაშუქებლათ ფრიად საინტერესო და ვრცე-  
ლი სპეციალური ლიტერატურა გამოუყენებია, სხვადასხვა  
ენაზე, და სამშობლოდან ასე შორს გადახვეწილს მოზრდილი  
წიგნის გამოქვეყნება მოუხერხებია. უეშმარიტად, ყოველივე  
ეს ენერგიის გამომხატველი დიდი მაგალითია.

სათვისტომებს არჩევნები ამერიკაში.

ნიუორკში შესდგა ამერიკის ქართველთა საზოგადო  
კრება. კრებას დაესწრო მრავალი ქართველი ამერიკის სხვა-  
დასხვა ქალაქებიდან. საერთო მსჯელობის შემდეგ არჩეული  
იქნა ახალი გამგეობა, რომლის თავმჯდომარეთ ბ ნ დუმბაძის  
მაგიერ აირჩიეს ბ-ნი ვ. კობახიძე.

წერილი რედაქციის მიმართ.

ღრმა მწუხარებაში მყოფი უღრმეს მადლობას უცხადებ  
მეგობარ-ნაცნობებს, ამხანაგებს და ორგანიზაციებს, რომ-  
ლებმაც თავიანთი თანაგრძნობა გამომიცხადეს ჩემი ძვირ-  
ფასი მეუღლის გარდაცვალების გამო.

ვალტე იმნაძე.

«ჩვენი ღრუბა»-ს ფონდი.

ქ-ნი მანია ყაველაშვილისა (გეგეჭკორის ასული)	5.000 ფრ.
ინა ქორდანია	2.000 ფრ.
გრ. უჩაძე	2.000 ფრ.
ბენო ელიგულაშვილი	1.000 ფრ.
ერ. რამიშვილი	2 დოლარი.
პ. კვარაცხელია	2 დოლარი.

ფული და დასაბეჭდი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემ-  
დეგი მისამართით:

P. Sardjveladzé.

35, rue de l'Aude 35. Paris (14)